სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991
შაბათი
9
თებერვალი
№ 17 (10410)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## 8 თებერვალი — დავით აღმაშენებლის ხსენების დღე

უღამაზესი ცისა და მიწის პატრონნი ვართ ქართველები. განგების მიერ კურთხეულ ამ მიწაზე გულუხვი, გამრჯე და გაჭირვებულთა შემწყნარებელი ხალხი ცხოვრობს. რბიან საუკუნენი, ქართველთა მოდგმა კი ისევ ნერგავდა, ფიზიკურ სიმრთელეს და სულიერ მხნეობას ამკვიდრებდა.

დავითი იყო ყოვლისა ერისა ჭეშმარიტი მამა და პატრონი. ეს მან აღადგინა, ფეხზე მკვიდრად დააყენა დაკნინებული და

## მესიის მახვილი

ღონიერად მკვიდრობს თავის ისტორიულ მიწა წყალზე. ივერთა ისტორია—ეს არის უწყვეტი ხმალთაკვეთება გულადი ვაჟკაცებისა, რომელნიც არასოდეს შემდრკალან ათასი ჯურის მტრისა და მოშურნის წინაშე. ყოველგვარი უკულმართობა ჟამისა აუტანია და ასე დღემდე შეუნარჩუნებია თავისი სახელმწიფოებრივი მთლიანობა, ეროვნული ცნობიერება, რწმენა და ენა ქართული.

დიდი ილია ბრძანებდა: „რა შეგვინახავდა ერთ მუჭა ხალხს ამ ორ ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულ წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენ ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა“.

ერთერთი ამ მაგარი ქვის ჩამდები ეროვნული თვითშეგნების საძირკველში დიდი დავით აღმაშენებელი გახლავთ. იგი იმედად მოუვლინა მაცხოვარმა მრავალტანჯულ ერს. სრულიად ახალგაზრდას დევისებური ღონე და აღნაგობა, დიდი პოლიტიკური ნიჭი და შორსმჭვრეტელობა დაანათლა.

ღვთის მოშიშიც იყო და სკეპტიკოსიც, ხან უფსკრულში მძრომი, ხანაც ცისკენ მჭვრეტელი ქართველი კაცი. მაგრამ მამულის სიყვარულში, რწმენის ერთგულებაში, სიცოცხლისადმი ტრფიალებაში ვერავინ გაეჭიბრებოდა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მუმლივით ეხვია ათასი ჯურის მოძალადე. მაგრამ სწორედ ასეთ დროს მოუვლენდა გამჩენი ჩვენს ქვეყანას დავით აღმაშენებლის დარ მოღვაწეს, რათა ისტორიული განსაცდელისაგან დაეხსნა თავისი სამწყსო.

დავით მეოთხე ჭეშმარიტი მესია გახლდათ. ერთ ხელში მახვილი ეპყრა, მეორეში კი სამართლიანი კვერთხი, რომლითაც კაცთა შორის ურთიერთსიყვარულსა და შემწყნარებლურ სულისკვეთებას შეურაცხყოფილი ქართველობა. მანვე მოთოკა ლიპარიტ ბაღვაშისა და ძაგან აბულეთისძის ტიპის თავკერძა ერისთავნი. სწორედ დავითის გოლიათური ნებით განაშორეს საერო თუ საეკლესიო თანამდებობებს ყველა „ულირსად გამოჩინებულნი“ და ფართო გზა მიეცა პირად ღირსებას —ნიჭიერებას, პატიოსნებას, მაღალ ზნეობას.

დავით მეოთხე—ეს არის გაუხუნარი სიმბოლო საქართველოს ერთიანობისა, განუყოფლობისა. მარტო დიდგორის ომის გახსენება რად ღირს. აქ გამოჩნდა სრული ძალით ჩვენი ხალხის შინაგანი გაუტეხელი სული, თავისუფლებისათვის თავგანწირვის ჟინი. სხვა თარიღიც ამშვენებს ქართლის მატიანეს: 1122 წელი. თავისი ზეობის მწვერვალზე მდგომი დავითი ტფილისიდან აძევებს ამირას და ოთხასწლოვანი უცხოური უღლისაგან ათავისუფლებს საქართველოს სატახტო ქალაქს.

ქართველი ხალხისთვის იგი სათაყვანებელი სახელია. იგი შთამომავალთა წინაშე წარმოსდგება, როგორც სულიერი მოძღვარი, განმანათლებელი, „ახალი ათონის“ დამაარსებელი, საოცარი პოეტური ალსარების „გალობანი სინანულისანის“ ავტორი. ამასთან ბრძენი და შეუპოვარი მეფე-სარდალი, ქვეყნის პოტენციის ამამაღლებელი, ეკონომიკურად ამაღორძინებელი.

რაოდენ მრავლისმთქმელია ეს სახელი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჩვენი თაობისათვის, როგორ სჭირდება დავითისეული ხედვა და ძალმოსილება ათასნაირი საფიქრალ-საზრუნავით, სიძნელეებით და ტკივილით შეჭირვებულ ქართველობას, რომელიც მტკიცედ დაადგა გარდამავალ პერიოდს და უკეთეს მერმისს იმედიანად ჭვრეტს.

დაე, მარადჟამს ენთოს ყოველი ქართველის გულში გაუნელებელი სიყვარული დიდი დავითისადმი. ენთოს, ვითარ სიმდიდრის, სიძლიერისა და სამართლიანობის გაუხუნარი სიმბოლო.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დადგენილება

### გარდამავალ პერიოდში ადგილობრივ მმართველობაზე გადასვლის პირველი ეტაპის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში გარდამავალ პერიოდში ადგილობრივ მმართველობაზე გადასვლის პირველი ეტაპის ამოცანების გადასაჭრელად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად **ადგენს**:

1. შემოღებულ იქნეს გარდამავალი პერიოდის ადგილობრივი მმართველობის პირველ ეტაპზე გადასვლის შემდეგი წესი:

1. გარდამავალი პერიოდის ადგილობრივი მმართველობის პირველ ეტაპზე გადასვლა განხორციელდეს არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით. მხედველობაში იქნეს მიღებული ადგილობრივი მმართველობის ორი დონე: მმართველობის პირველადი დონე, რომელსაც ქმნიან სოფლის (დაბის, თემის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის ადგილობრივი მმართველობის შესაბამისი სტრუქტურები, და მმართველობის მეორადი დონე, რომელსაც ქმნიან რაიონები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნულის გათვალისწინებით რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში ინიშნებიან პრეფექტები და იქმნება პრეფექტურები.

2. რაიონების, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების პრეფექტების (პრეფექტურების) ძირითად ამოცანად დაისახოს გარდამავალი პერიოდის ადგილობრივი მმართველობის პირველ ეტაპზე თანმიმდევრულად გადასვლის უზრუნველყოფა „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

3. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების პრეფექტურების ჩამოყალიბებამდე მმართველობის ფუნქციები შეასრულონ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, რომელთა საქმიანობას წარმართავს პრეფექტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში. რაიონების რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შესაბამისი რაიონის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის პრეფექტის დანიშვნის დღიდან, სოფლის (დაბის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა და თავმჯდომარეებმა მუშაობა განაგრძონ საკრებულოთა არჩევნების ჩატარებამდე და შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებამდე.

4. ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო მართვისა და კონტროლის ფუნქციებს სოფლის (დაბის), რაიონული ქალაქისა და ქალაქის რაიონის ტერიტორიაზე, დარჩნენ რაიონის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დაქვემდებარებაში და კონტროლის ქვეშ.

5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1991 წლის მარტის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებები ადგილობრივი ეკონომიკისა და მეურნეობის მოწყობის საკითხებზე. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ეკონომიკური რეფორმისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო კომისიამ უზრუნველყოს გარდამავალ პერიოდში ადგილობრივ მეურნეობაზე თანმიმდევრული გადასვლის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება. გარდამავალ პერიოდში ადგილობრივ მმართველობაზე გადასვლის მეთოდური უზრუნველყოფა განახორციელოს სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირმა.

რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ 1991 წლის მარტის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებები ადგილობრივი მმართველობის ფინანსური ბაზისა და დაფინანსების წყაროების შესახებ.

რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ მოამზადოს და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიამ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე მოამზადოს დადგენილების პროექტი გარდამავალ პერიოდში ადგილობრივ მმართველობაზე გადასვლისა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 4 თებერვალი.

# წესრიგს აღვადგენთ ჩვენივე ძალებით

**პატრულირების შესახებ იმპერიის ახალი აქტის წინააღმდეგ დაირაზმა მთელი დემოკრატიული, ეროვნული ძალები. ამ დადგენილებას წინ აღუდგა მთელი რიგი რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობა. საპროტესტო აქციები გაიმართა ლენინგრადსა და მოსკოვშიც. მიუხედავად ამისა, პატრული გამოჩნდა როგორც შუა აზიის, ასევე სხვა რესპუბლიკების დედაქალაქებში. პროგრესულმა საზოგადოებრიობამ პრეზიდენტის ეს დადგენილება შეაფასა, როგორც სამხედრო დიქტატურის დამყარების წანამძღვარი.**

**ცხადია, ქართველი ხალხი ყოველი ღონით უნდა ეცადოს წინ აღუდგეს სამხედროების გააქტიურებას, რომელსაც ისინი წესრიგის დაცვის საბაბით ახორციელებენ და საკუთარი ძალებით უნდა იბრძოლონ დამნაშავეობის წინააღმდეგ.**

**ამ მხრივ შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონულ განყოფილებაში გარკვეული მოძრაობაა. აი რას ამბობს განყოფილების უფროსის მოადგილე პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში ვალტერ გაჭერელია:**

დამნაშავეობასთან გადამწყვეტი ბრძოლის მიზნით მთელი რაიონი და ქალაქი 6 ზონად დაიყო. თითოეულ ზონაში პასუხისმგებელი პირებია განყოფილებათა უფროსის მოადგილეები, უბნის ინსპექტორები, სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლები, საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების, სახავტოინსპექციის, არასრულწლოვანთა ინსპექციისა და ე. წ. მუნიციპალური მილიციის წარმომადგენლები. ამგვარად, თითოეულ ზონაში მოქმედებს 20-25 კაცი. ისინი მუშაობენ დილის 8 საათიდან გვიან ღამემდე, სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების წევრებთან ერთად და კონტაქტი აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან, სოფლის ხელმძღვანელობასთან ერთად ატარებენ მორიგეობებს, პროფილაქტიკური ხასიათის რეიდებს.

შედეგად ბოლო ოთხი დღის განმავლობაში ამოღებულ იქნა 3 საბრძოლო პისტოლეტი, 2 გადაჭრილი თოფი, ცივი იარაღი, ფიქსირებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერების 1 გამსაღებელი, გახსნილია პირადი ქონების ქურდობის 2 შემთხვევა, ავტომანქანის გატაცების 3 ფაქტი, დაკავებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ მყოფი 3 პიროვნება.

მე სრული შეგნებით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენს მუშაკებს შესწევთ იმის უნარი და შესაძლებლობა, საგრძნობლად შემცირდეს დანაშაული რეგიონში. საერთოდ ჩვენს ცხოვრებაში გამეფებულმა ქაოსმა წარმოშვა იგი და არა მილიციის მუშაკთა უმოქმედობამ. როცა საქმეს კონკრეტულად მოვკიდებთ ხელს, იქნება კონკრეტული დავალებები და სათანადო კონტროლი და მომთხოვნელობა, მაშინ საქმე უსათუოდ დაიძვრება.

უნდა ითქვას ისიც, რომ სათანადო რეაგირებას გამოიწვევს იმ მუშაკთა საქციელი, ვინც პასუხისმგებლობით არ მოეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, პატრიოტული მიდგომით არ განიხილავს შექმნილ მდგომარეობაში ჩვენს აუცილებელ წვლილს. საქმისადმი უპასუხისმგებლობისათვის დაკავებული მოვალეობიდან განთავისუფლდა 4 ოფიცერი, 3 რიგითი მილიციელი.

გატარებული მუშაობის შესახებ პერიოდულად ვაცნობებთ საზოგადოებას პრესის მეშვეობით. მინდა ვთხოვო ფართო საზოგადოებრიობას, მშრომელებს, ამოგვიდგნენ მხარში როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურადაც. მხოლოდ მთელი საზოგადოების თანადგომით შევძლებთ წარმატების გარანტირებას.

---

პრობლემა: საზოგადოებრივი რეზონანსი

# მივხედოთ ახალგაზრდობას

მეტად რთული დრო დაგვიდგა ქართველებს. მართალია, დაღხენილი ცხოვრება თითქმის დედამიწის არცერთ რეგიონში არაა ამჟამად, მაგრამ მე ჩემი ღვიძლი სამშობლოს ბედი მტკივა. ძალზე მაღელვებს ახალგაზრდების პრობლემა. საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან უსაქმოდ მოხეტიალე ახალგაზრდების სიმრავლე გეცემა თვალში. არ არის უბანი, ქუჩა, მოედანი, რომ შეჯგუფებულ ყმაწვილებს არ წააწყდე. უყურებ მათ და უნებლიეთ ტკივილი გიკვნწლავს გულს: ნუთუ ასე ძნელია ყოველი მათგანისთვის სამუშაოს გამოძებნა, რაღაც გარკვეულ საქმიანობაში ჩაბმა, სადაც ისინი თავის უნარს და მიდრეკილებას გამოავლენენ? ნუთუ ვინმესთვის ასახსნელია ის გარემოება, რომ უმიზნოდ, უფუნქციოდ დარჩენილი, ჯანღონით სავსე ახალგაზრდა თავის ცხოვრებას იმრუდებს. იგი ხომ ყოველ წუთს რაღაც თავშესაქცევს ეძებს. დრო ხომ უნდა გაიყვანოს, მოჭარბებული ენერგია ხომ უნდა დახარჯოს. სწორედ ამდაგვარ უსაქმოდ ყიალს მოყვება ყოველგვარი სიავე, ცუდ საქმეში ჩათრევა. ვინ უბიძგებს მათ ასეთი ყოფისაკენ? მშობელი, რომელიც უკონტროლოდ ტოვებს შვილს. საზოგადოება, ქუჩის კომიტეტი, შრომითი კოლექტივი, დეპუტატი, რომლებიც ყოვლად **გაუმართლებელ გულგრილობას** იჩენენ ასეთი კატეგორიის ახალგაზრდებისადმი. სხვაზე მეტად მოეკითხება ამ მხრივ უბნის ინსპექტორს, რამეთუ დღეს უსაქმოდ მყოფი ახალგაზრდა ხვალ შესაძლოა დამნაშავე გახდეს.

მე გული მტკივა, რომ ამ პრობლემას დღემდე არსებულმა ხელისუფლების ორგანოებმა თავი ვერ მოაბეს. მაგრამ მაქვს იმედი, რომ ახალი ხელმძღვანელები, ეროვნული მთავრობის მანდატით მოსულნი ხელისუფლებაში, ამ საკითხს უფრო მამულიშვილურად მიუდგებიან და სათანადო კომპეტენტურობით გადაწყვეტენ.

თუ ახალგაზრდების შრომაში ჩაბმის ორგანიზაციას თავი მოვაბით, თუ შრომისა და ცხოვრების ინტერესითა და ხალისით ავანთეთ ისინი, ამით ენით აუწერელ სიკეთეს მოვუტანთ საქართველოს.

**გ. ანთია,**

**ონარიის მეურნეობის მთავარი აგრონომი.**

---

## გზაგასაყართან

დადგა დღე, რომელსაც რა თქმა უნდა, როგორც გარდაუვალს, ველოდი და მეშინოდა კიდეც.

დიახ, ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი და აი, ნებაყოფლობით ვუსვამ წერტილს ჩემს შემდგომ საქმიანობას კომბინატში. დიახ, მე 81 წლის ასაკში ვწყვეტ შრომას. დროა, როგორც ხანდახან და მამხნევებდა.

მთელი მუშაობის განმავლობაში არც ერთი საყვედური, გაფრთხილება თუ შენიშვნა არ მქონია პირიქით, მიღებული მაქვს ჯილდოები, როგორიცაა საქ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ქების სიგელი, მედლები, არაერთი მადლობები და სხვა. ჩემს შრომას აფასებდნენ და პატივს მცემდნენ. სწორედ პატიოსანი შრომით დავიმსახურე ავტორიტეტი, რაც ჩემთვის ძალზე ძვირფასი და საამაყოა. რა ვუთხრა ბუნების კანონს, ჟამთა მსვლელობას, რომელსაც მოაქვს ულმობელი ხანდაზმულობა, სიბერე, რაც აიძულებს ადამიანს, მოსწყდეს საყვარელ საქმეს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ქაღალდის კომბინატთან და მის შესანიშნავ კოლექტივთან კვლავინდებურად მექნება მეგობრობა, ურთიერთობა, სხვაგვარად ჩემი არსებობა ფუჭი ექნება.

# მზად ვარ, კვლავ ვემსახურო

მულმა ვეტერანმა, დავისვენო, როგორც იტყვიან, დამსახურებული დასვენებით.

ძალზე მიჭირს კოლექტივთან დაშორება, 60 წლის განმავლობაში მას ისე შევეჩვიე, შევესისხლხორცე, რომ ვერ წარმომიდგენია სხვაგვარად **ჩემი არსებობა.** ეს ხომ ჩემი მეორე ოჯახია, მისი წარმატებები ჩემი სიხარული იყო, წარუმატებულობა კი გულის სატკივარი. ჩემს თვალწინ და ჩემი უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა ქაღალდის წარმოების გრანდიოზული მშენებლობა.

მე არ ვისაუბრებ ჩემს საქმიანობაზე, ვინაიდან ეს ყოველივე აღწერილი იყო ჩემს მოგონებაში, არაერთხელ გაშუქებული კორესპონდენტების მიერ წიგნებსა თუ ჟურნალ-გაზეთებში.

გამოგიტყდებით, ძალზე განვიცდი საყვარელ კოლექტივთან დაშორებას, მთელი კოლექტივის სითბო, თანაგრძნობა, მეგობრობა, აი რა მიმატებდა სიცოცხლეს.

**მზად, ვარ მუდამ გამოვიჩინო** ყურადღება ამ კოლექტივის მიმართ და ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში კვლავ დავეხმარო, კვლავ ვემსახურო.

ვუსურვებ ჩემს საყვარელ კომბინატს შემდგომ წარმატებებს, კვლავაც შემართებით შრომას საზოგადოების სასიკეთოდ.

**ეთერ ცქიტიშვილი.**

---

უკეთ მუშაობაში დაგეხმარებათ

# „რა უნდა იცოდეს მოიჯარემ?"

თანამედროვე წარმოების დამოუკიდებელი მართვა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისაგან მოითხოვს პროფესიისა და ცოდნის დიაპაზონის გაფართოებას, საქმის გაძღოლის საერთო კულტურისა და პროფესიული მობილურობის ამაღლებას. მნიშვნელოვნად იზრდება ეკონომიკური და ეკოლოგიური ცოდნის საჭიროება, რის წყალობითაც შესაძლებელია მცენარეთა და ცხოველთა ბიოლოგიური პოტენციალის საწარმოო ფონდების და შრომის სრულად და ეფექტიანად გამოყენება, ისე, რომ გარემოს არაფერი ევნოს.

ამჟამად, დღითი-დღე მეტ მნიშვნელობას იძენს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციით საწარმოო ორგანიზაციების, მეურნეობების სპეციალისტთა უზრუნველყოფა. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები ყოველწლიურად სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მიღებისათვის ნაციონალური შემოსავლის 30-40 პროცენტს ხარჯავენ. ინფორმაცია მათ ეხმარებათ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს წარმოების ეფექტიანობას.

მიუხედავად იმ დიდი ეკონომიური ეფექტისა, რასაც იძლევა სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაცია, რესპუბლიკის რიგი რაიონების მეურნეობათა ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს არ გაუფორმებიათ ხელშეკრულება 1991 წლისათვის ახალი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მისაღებად, ეს თავისთავად იმას მოწმობს, რომ საწარმო ორგანიზაციებისა და მეურნეობების გარკვეული ნაწილი ჯეროვნად არ აფასებს ინფორმაციის მნიშვნელობას.

ამიტომ მათ უნდა შევახსენოთ, რომ ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია მათ დაეხმარებათ მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმის დამკვიდრებაში, შრომის ნაყოფიერების მკვეთრ ზრდასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

ამჟამად მომხმარებელს ვთავაზობთ ბროშურას „რა უნდა იცოდეს მოიჯარემ", რომელშიც ამომწურავი პასუხია გაცემული ყველა იმ კითხვაზე, რომელიც შეიძლება დაებადოს შრომის ორგანიზაციის ამ ფორმით მომუშავეს, საწარმოო ორგანიზაციას, მეურნეობის ხელმძღვანელს. ამასთან ვამზადებთ და უახლოეს ხანში გამოვცემთ მასალებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და გლეხური მეურნეობის ორგანიზაციის საკითხებზე.

დამკვეთს ვთავაზობთ აგრეთვე მცირე საწარმოს შექმნისათვის მთელ დოკუმენტაციას (საწარმოს არსი, წესდება, მისი შექმნის წესი, სამართლებრივი დებულებები, მთავრობის დადგენილება, საწარმოს შექმნის ტექნიკური—ეკონომიკური დასაბუთების მოკლე რეკომენდაციები, პროდუქციის რეალიზაცია, მართვა და სხვა).

მრავალმხრივი და აქტიური საკითხებისადმი იქნება მიძღვნილი სემინარები უშუალოდ მეურნეობებში, აგროფირმებსა აგროკომბინატების და გადასამუშავებელ საწარმოებში ჩავატარებთ ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი მეცნიერებისა და სპეციალისტების მონაწილეობით, კერძოდ სემინარების თემატიკაშია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიები, საიჯარო ურთიერთობაზე გადასვლის, გლეხური მეურნეობის ორგანიზაციის, საარენდო ურთიერთობისა და მეურნეობისათვის საჭირო სხვა საკითხები.

ამასთან იმ მეურნეობათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, რომლებსაც ჩვენთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები შეუძლიათ დაგვიკვეთონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე შემდეგი მისამართით: 380096 თბილისი. მარშალ გელოვანის პროსპექტი № 4 ა, საქინფორმაგროპრეწვი.

გთხოვთ ისარგებლოთ ჩვენი საინფორმაციო მომსახურებით, ამით თქვენ გაგიადვილდებათ ბუნებრივი, შრომითი, ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება, ოპტიმალური საბოლოო შედეგების მისაღწევად.

**ი. დვალი,**

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის რესპუბლიკური ცენტრის **დირექტორი.**

## საიუბილეო თარილის ხიბლი

დაბადებიდან 70 წელი უსრულდება გამოჩენილ ქართველ რეჟისორს მიხეილ თუმანიშვილს. ქართული თეატრის ამ სახელოვანი წარმომადგენლის სახელთან არის დაკავშირებული მრავლისმთქმელი ესთეტიკური ძიებები 50-60-იან წლებში, რასაც მოჰყვა არაერთი ბრწყინვალე სპექტაკლის შექმნა რუსთაველის თეატრის სცენაზე. ასევე საქვეყნოდ არის გახმაურებული მისი თეატრალური ძიებები კინომსახიობის თეატრში. ბატონი მიშა გახლავთ არამარტო ახალი თეატრალური სტილისტიკის შემომტანი სცენურ ხელოვნებაში, არამედ ახალგაზრდა რეჟისორების უბადლო აღმზრდელი, ამიტომაც თავის საიუბილეო დღეებში მთელი ქართველი ხალხი კუთვნილ სიყვარულს მიაგებს ამაგდარ ადამიანს.

მკითხველებს ვთავაზობთ მცირე ფრაგმენტს მიხ. თუმანიშვილის წიგნიდან: „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“.

## თეატრი მისი ცხოვრებაა

სპექტაკლი მაყურებელთა თანდასწრებით გამართული მსახიობთა ორთაბრძოლებია. ესაა დემონსტრაცია მოქმედ პირთა ორთაბრძოლებისა, რომლებიც გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობითაა გაშლილი. რაც უფრო ზუსტად, საინტერესოდ გათამაშდება პარტნიორთა სცენური ბრძოლა, სპორტული ასპარეზობების მსგავსად, მით უფრო აქტიურად ჩაერთვება მასში მაყურებელი. ვინ —ვის და როგორ? სპორტულ ასპარეზობებზე შედეგი წინასწარ არასოდეს არაა ცნობილი. ჩვენთან კი, თეატრში, წინასწარ მოხაზულია მხოლოდ სიუჟეტი. მთავარი კი ისაა, როგორ მივლენ იქამდე პარტნიორები. იქ შედეგია მთავარი, აქ —პროცესი. თუმცა, შესაძლოა, არც იქ იყოს გოლი, ბურთის, ლელოს გატანა მთავარი. იქნებ აქაც მთავარი ის იყოს, თუ როგორ გავა ეს გოლი? მაყურებლები ხომ მხოლოდ ამისთვის დადიან სტადიონზეც და თეატრშიც.

მაგრამ ყველანაირ მაყურებელს როდი შეუძლია მაშინვე გაიგოს, რა და როგორ ხდება სცენაზე. ის, რაც გაუგებარია, ყოველთვის გაღიზიანებს. მაყურებელი სათანადოდ უნდა იყოს შემზადებული აზრებისა და განცდების გამოხატვის ამგვარი ხერხებისათვის. იაპონელები კარგად ამბობენ: ჯერ გაიგე ვინ გისმენს და მერე იქადაგე. მაყურებელთა სხვადასხვაგვარი მომზადების მიხედვით სცენასა და დარბაზს შორის წარმოიშობა მთელი რიგი სიძნელეები— კონფლიქტი იმის გამო, რომ ნამდვილ ხელოვნებას ვერ იგებენ ან კონფლიქტი, რომელსაც იწვევს მხატვრული პრობლემების პრიმიტიული ხერხებით გადაწყვეტის გამო უკმაყოფილება.

ერთ ჟურნალში მოცემული იყო საფუძვლიანი ანალიზი იმისა, რაც შეემთხვა შეჰერეზადას. შეჰერეზადა მიყოლებით უყვებოდა ზღაპრებს მეფე შაჰრიარს, დააინტერესა იგი და ამით იხსნა თავი, მაგრამ არა იმიტომ, რომ მისი ზღაპრები სავსებით შეესატყვისებოდნენ შაჰრიარის ინტერესებსა და გემოვნებას. მხოლოდ ამით გადარჩა იგი. ჩვენ გვიკვირს ხოლმე, თუ რატომ აწყდება ამდენი მაყურებელი სპექტაკლს, რომელიც სუსტ სპექტაკლად მიგვაჩნია. ამაში არც არაფერია გასაკვირი. შაჰრიარი დააინტერესა შეჰერეზადას ზღაპრებმა. სხვა უფრო განათლებული, ან პირიქით, უფრო გაუნათლებელი მეფე, შესაძლოა, ამ ზღაპრებით არ დაინტერესებულ იყო და მაშინ ქალს სიკვდილი არ ასცდებოდა. ყველაფერი მოთხოვნილებებზეა დამოკიდებული.

მაყურებელს სპექტაკლი თუ არ მოსწონს, იმედგაცრუებული ტოვებს მას. იგი ამას დემონსტრაციულად აკეთებს, რათა თეატრს აგრძნობინოს თავისი უკმაყოფილება. მაგრამ სპექტაკლი თუ მოსწონს, იგი თეატრალური მაგიის „ჰიპნოზით“ ჯადოვდება და ხდება სასწაული.

თეატრის მიზანი ხომ ისაა, რომ სანახაობით გაამდიდროს ადამიანი, რაღაც შეცვალოს მასში. და როცა, მიუხედავად მთელი ჩემი ხრიკებისა, ჩემს სპექტაკლებზე მაყურებელი არ დადის, მესმის, რომ საინტერესო ზღაპარი ვერ მიამბნია.

## მიზანი: ხარისხის ამაღლება

ზუგდიდის №1 ჩაის ფაბრიკის (დირექტორი გ. გოგოხია) კოლექტივი ემზადება სეზონისათვის. ხარისხის გაუმჯობესების მთავარ ბერკეტად მიიჩნევენ გადაიარაღებას. დანერგეს ნახევარფაბრიკატის ბუნკერული შენახვა. თუ კი ფაბრიკაში დღემდე ჩაის დაფასოება ხდებოდა ხელით, ამჟამად მიმდინარეობს უცხოური მარკის ორი ავტომატური დანადგარის დამონტაჟება. მოამზადეს ოპერატორები. ახლად დამონტაჟებული „ხაბეს“ ტიპის დამხარისხებელი მანქანა ყოველგვარი უხეში და გარეშე მინარევებისაგან ასუფთავებს ნახევარფაბრიკატს და უშვებს მაღალი ხარისხის პროდუქციას.

დასასრულს უახლოვდება საამქროების კაპიტალური შეკეთება. დიდი მონდომებით მუშაობენ ზეინკლები, ელექტროკოსები, წესრიგში მოყავთ დანადგარ-მოწყობილობები.

ტექნიკური პროგრესის დანერგვამ შარშან დიდი ეკონომია მისცა ფაბრიკას, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და მან 14,3 პროცენტს მიაღწია.

## შევუნდოთ ერთმანეთს

გულს ნაღველით გევსება, როცა პრესიდან და ტელევიზიიდან ქართველთა ერთი ნაწილის უღირსი საქციელის შესახებ ცნობებს ისმენ. ზოგიერთი პოლიტიკური, თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი, ამოდის რა თავისი პირადი ამბიციებიდან, ვიღაცაზე და რაღაცაზე განაწყენებული კაცის პოზიციიდან, ყოველნაირად ცდილობს ჩირქი მოსცხოს, ლანძღოს ახლანდელი ხელისუფლების მიერ აღებული კურსი, დააკნინოს მათ მიერ დასახული ღონისძიებები. ცალკეული ვაიქართველის თავგასულობა იქამდე მიდის, რომ ღვარძლიან პასკვილებს საზღვარგარეთაც ავრცელებს. ასეთი დეზინფორმაციის კერების არსებობა დღეს დასავლეთში მეტად საშიშია. ამის ჩადენას მტერს არ უნდა ვპატიობდეთ და ქართველი კაცი ისე როგორ უნდა დაეცეს, რომ მშობელ ერს ლაჩრულად ზურგში ჩასცეს მახვილი. ვაგლახ, რომ ისევ იჩენს თავს ქართველთა ისტორიული ნაკლი —შინა შუღლი, შური და დაუნდობლობა. ჩვენი დღეს ერთად ყოფნა, ღვთიური სიყვარულით ავსება და განსაცდელში მყოფი მამულის გადარჩენისათვის ფიქრი გვმართებს და არა ერთმანეთის ჩასაფრება.

ჩემო საყვარელო თანამემამულენო! შევუნდოთ ერთმანეთს შეცოდებანი. ვიფიქროთ, ვილვაწოთ ხელიხელჩაკიდებულებმა დასუსტებული მამულის ასაღორძინებლად.

ვ. შენგელია,
პედაგოგი.

## როგორ უნდა ვიკვებოთ

ხორცის, ძეხვისა და ლორის მოყვარულებს ორჯერ უფრო მეტი შანსი აქვთ მსხვილი ნაწლავის კიბოთი დაავადებისა, ვიდრე მათ, ვინც თევზისა და ქათმის ხორცით იკვებება. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მასაჩუსეტის შტატის ქალაქ ბოსტონის ქალთა საავადმყოფოს მეცნიერი მედიკოსები. მათ მრავალი წლის განმავლობაში თითქმის 90 ათასზე მეტი ქალი გამოიკვლიეს. გამოირკვა, რომ ისინი, რომლებიც თვეში ან თუნდაც კვირაში ერთხელ მაინც შეექცევიან ხორცს, კიბოთი დაავადების უფრო დიდ რისკს ეწევიან, ვიდრე ისინი, რომლებიც საერთოდ არ ჭამენ ხორცის პროდუქტებს. მართალია, მეცნიერები დამატებით შენიშნავენ, რომ სრულიადაც არ სურთ ვინმე შეშინდეს და სამუდამოდ აკრძალოს ხორცის ჭამა. ხორცში ადამიანის სიცოცხლისათვის ბევრი მნიშვნელოვანი ელემენტია, ამბობს გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორი პ. გირნელდი. მაგრამ მას მიაჩნია, რომ თავიანთ ორგანიზმს უეჭველად დიდ სარგებლობას მოუტანენ ის ადამიანები, რომლებიც შეძლებენ იგი სხვა პროდუქტებით შეცვალონ.

(საქინფორმი).

ამჟამად პროფკავშირებისათვის არ არის იმაზე უფრო საშური საქმე, ვიდრე ხელი შევუწყოთ მარტოხელა, მრავალშვილიან და ახალგაზრდა დედებს შვილების აღზრდის საქმეში. მატერიალური დახმარებები გაიცემა როგორც პროფბიუჯეტის, ასევე სოცდაზღვევის თანხიდან.

## რომ უკეთესი პირობები შეექმნას დედებს

ონარიის მეურნეობის პროფკომიტეტმა შარშან მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს გამოუყო გარკვეული თანხა: ფულადი დახმარება გაეწიათ მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს, მათ შორის ვალიშა ბაჩილავას, გალინა კონჯარიას, ნელი ხვიჩიას, თინა კურდღელიას და სხვებს. სულ პროფკომიტეტის ფონდიდან გაიცა 1500 მანეთი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციამ გასული წლის 10 დეკემბერს მიიღო ერთობლივი დადგენილება, რომლის მიხედვით მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან შემოღებულია მოქალაქეთა სოციალური დაზღვევის ერთიანი სისტემა.

გასული წლის 1 დეკემბრიდან ორსულობისა და მშობიარობის შემდეგ დედებს ეძლევათ შეღავათები, კერძოდ, შვებულება 70 კალენდარული დღის რაოდენობით, ამასთან ორსულობის პირველი და მეორე პერიოდის შვებულება ეძლევათ ერთად, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დღე გამოიყენეს ფაქტობრივად მშობიარობამდე.

1 იანვრიდან გაიზარდა აგრეთვე ბავშვის მოვლის ყოველთვიური დახმარების ოდენობა ხელფასის დონემდე, ე. ი. 70 მანეთი. ტყუპების შეძენის შემთხვევაში ეს დახმარება გაიცემა წლინახევრის ასაკამდე ყოველ ბავშვზე ცალცალკე, რომელიც ადრე მხოლოდ ერთ ბავშვზე ეძლეოდათ.

ამავე დროს 18 წლის ასაკამდე ქალებს ბავშვის მოვლის დახმარება წლინახევრის ასაკამდე ენიშნებათ მიუხედავად შრომის სტაჟის ხანგრძლივობისა.

ბავშვის დაბადების ერთდროული დახმარება თუ ადრე იყო პირველ ბავშვზე 50, ხოლო მეორეზე და მესამეზე 100 მანეთი, ამჟამად ენიშნებათ მინიმალური ხელფასის სამმაგი რაოდენობით ე. ი. 210 მანეთი ყველა ბავშვზე მიუხედავად ბავშვის დაბადების რიგისა. აღნიშნული დახმარება გაიცემა გასული წლის 1 დეკემბრის შემდეგ დაბადებულ ბავშვებზე დედის სამუშაო (ან სწავლების) ადგილზე. თუ დედა არ მუშაობს და არ სწავლობს დახმარება დაენიშნება მამას სამუშაო (ან სწავლების) ადგილზე. თუ ორივე მშობელი არ მუშაობს და არ სწავლობს დახმარება გაიცემა სოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ.

ასევე შემოღებულია გასული წლის დეკემბრიდან ერთნახევარი წლიდან 6 წლის ასაკამდე ბავშვის მოვლის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი, ამჟამად 35 მანეთის რაოდენობით. თუ ამ ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი წინამდებარე კალენდარული წლის მიხედვით არ აჭარბებს ოჯახის თითოეულ წევრზე თვეში ორმაგ მინიმუმ ხელფასს ე. ი. 140 მანეთს. ოჯახის საშუალო შემოსავლის განსაზღვრა ხდება ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახის ბავშვების ყოველთვიური დახმარების დანიშვნის წესის მიხედვით. ამ დახმარების დასანიშნად შეიძლება ვიხელმძღვანელოთ გასული წლის ათი თვის შემოსავლით. იგივე შემოსავალი იქნება მიღებული მიმდინარე წელსაც დახმარების დასანიშნად.

ამავე დადგენილებით ძალაში დარჩა 12 წლის ასაკამდე ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვთა დახმარების წესი, თუ ოჯახის თითოეული წევრის ერთობლივი შემოსავალი არ აჭარბებს თვეში 50 მანეთს.

აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში განხორციელება ერთგვარად გააუმჯობესებს მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა მატერიალურ მდგომარეობას. ჩვენი მეურნეობის პროფკომიტეტი აღნიშნულთან ერთად ითვალისწინებს სხვა შემხვედრ დახმარებებს, რაც ცხოვრებით იქნება ნაკარნახევი.

ი. ნადარაია,
ონარიის მეურნეობის პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

# როგორ ავიცილოთ ავთვისებიანი სიმსივნე

სიმსივნე უჯრედთა უსასრულო გამრავლებისა და ქსოვილთა ზრდის შედეგად განვითარებული პათოლოგიაა. ეს პათოლოგია საბოლოოდ ირგვლივ მდებარე ქსოვილებზე ზეწოლის ან მათში ჩაზრდისა და მათი დაშლის გამო იწვევს ორგანიზმის სიკვდილს. არჩევენ კეთილთვისებიან და ავთვისებიან სიმსივნეებს, ფონურ და კიბოს წინარე დაავადებებს.

ფონურია ის დაავადებები, რომლებიც უშუალოდ კიბოს წინარე დაავადებებს არ წარმოადგენენ, მაგრამ მათგან შეიძლება განვითარდეს კიბოს წინარე დაავადებანი.

კიბოს განვითარებას წინ უძღვის ხანგრძლივად, ზოგჯერ 10-15 და მეტი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ამ დაავადებებიდან კიბო განვითარდეს.

ჩვენ განვიხილავთ ფონურ და კიბოსწინარე დაავადებებს, რომელთა პროფილაქტიკა საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ მათი ავთვისებიანი გადაგვარება.

გარეთა სასქესო ორგანოების შედარებით უფრო გავრცელებულ დაავადებებს მიეკუთვნება ვულვის კრაუროზი და ლეიკოპლაკია.

ვულვის კრაუროზის დროს დიდი და მცირე სასირცხო ბაგეები შეჭმუხნულია, კლიტორი ატროფიულია, კანი და ლორწოვანი გათხელებულია. მშრალია, პრიალებს, გადაჰკრავს მოყვითალო ცვილის ფერი.

ლეიკოპლაკიის დროს გარეთა სასქესო ორგანოების კანსა და ლორწოვანზე წარმოიქმნება ეპიდერმისის მოთეთრო გასქელებული კერები. კლინიკური სიმპტომებია შემდეგი: ძირითადია ქავილი, რომელიც განსაკუთრებით შემაწუხებელ ხასიათს ღებულობს ღამით და იწვევს ნერვიული სისტემის გამოფიტვას, რის შედეგადაც ავადმყოფებს აღენიშნებათ მძიმე ფსიქიკური მოშლილობანი. ქავილი ხშირად ზაფხულის პერიოდს ემთხვევა. ქავილის შედეგად ხშირად ხდება ინფიცირება და ვითარდება მეორადი ანთებითი პროცესები.

საშოს კეთილთვისებიან სიმსივნეებს მიეკუთვნება პაპილომა, პოლიპი, ფიბრომიომა და სხვადასხვა სახის საშოს კისტები. საშოს კეთილთვისებიანი სიმსივნეები და კისტები სიმპტომებს არ იძლევა და დიაგნოსტირდება ჩვეულებრივი გასინჯვების დროს. შესამჩნევი ხდება ზომაში მომატების ან დაწყლულების დროს. ავადმყოფები უჩივიან საშოში უცხო სხეულის არსებობის შეგრძნებას, სქესობრივი კავშირი გაძნელებულია, ჩამონაშალი ატარებს პათოლოგიურ ხასიათს.

საშვილოსნოს ყელის ფონურ დაავადებებს მიეკუთვნება: ჭეშმარიტი და ცრუ ეროზიები (ენდოცერვიკოზი, ექტოპია-ფორმაშეცვლილ და ფორმაშეუცვლელ ყელზე, პოლიპი, ლეიკოპლაკია, ერითროპაკია, ენდომეტრიოზი), ხოლო კიბოს წინარე დაავადებებს მიეკუთვნება დისპლაზია.

კლინიკური სურათი: საშვილოსნოს ყელის კიბოს ფონური დაავადებები ძირითადად უსიმპტომოდ მიმდინარეობენ. დამახასიათებელია სხვადასხვა სახის ჭარბი ჩამონაშალი. უსიმპტომო მიმდინარეობითაა გამოწვეული ის, რომ ამ დაავადებების დიაგნოსტირება ხდება უფრო ხშირად პროფილაქტიკურ გასინჯვების დროს, შემდგომ დიაგნოსტიკური მასალის მორფოლოგიური (ციტოლოგია, ჰისტოლოგია) შესწავლის შედეგად ზოგჯერ ფსევდოეროზიების ფონზე ან მათ გარეშე საშვილოსნოს ყელზე ვნახულობთ გაურკვეველი საზღვრების მქონე მოთეთრო ლაქებს. ეს ლაქები მკვეთრადაა გამოხატული ნალების მსგავსად (ლეიკოპლაკია) წამოწეულია ლორწოვანიდან, ლაქების მოცილება ბურთულით შეუძლებელია.

საშვილოსნოს ტანში, როგორც სხვა ორგანოებში ვხვდებით ავთვისებიან და კეთილთვისებიან სიმსივნეებს.

კეთილთვისებიან სიმსივნეებს მიეკუთვნება ენდომეტრიუმის პოლიპი, ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზია, ენდომეტრიუმის ატიპიური ჰიპერპლაზია, ფიბრომიომა. ადენომური სიმსივნე.

ფონური დაავადებებია პოლიპოზი და ენდომეტრიუმის ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზია.

საშვილოსნოს ფიბრომიომა ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს და აღმოაჩენენ პროფილაქტიკური გასინჯვების დროს. ძირითადი სიმპტომი-სისხლდენაინტერსტიციალური და განსაკუთრებით სუბმუკოზური ფიბრომიომის დროს გვხვდება.

ინტერსტიციალურის შემთხვევაში გვხვდება მენორაგიული (მენსტრუაციასთან დაკავშირებული) სისხლდენა, ხოლო სუბმუკოზური ფიბრომიომის დროს სისხლდენა არ არის დაკავშირებული მენსტრუაციასთან (ატარებს მეტრორაგიულ ხასიათს).

უსიმპტომოდ მიმდინარე 12 კვირის ორსულობის სიდიდემდე საშვილოსნოს ფიბრომიომა რაიმე მკურნალობას არ საჭიროებს. მხოლოდ აუცილებელია ქალზე დისპანსერული მეთვალყურეობის დაწესება, რაც ითვალისწინებს წელიწადში 2-3-ჯერ გასინჯვას გინეკოლოგის მიერ. საშვილოსნოს ფიბრომიომის მკურნალობის ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულია კვანძოვანი ხასიათი, სისხლისდენა, დისკომფორტი (შარდვისა და დეფეკაციის გახშირება ან გაძნელება, ტკივილი) და სწრაფი ზრდა, განსაკუთრებით კლიმაქსისა და მენოპაუზის პერიოდში. მკურნალობა ქირურგიულია.

ფონური და კიბოს წინარე დაავადებების დროს ავადმყოფები უჩივიან მენსტრუალური ციკლის მოშლას. მენსტრუაცია გახანგრძლივებულია, გამონადენი უხვი. ნათელი პერიოდი ისეა შემოკლებული, რომ იგი სისხლის დენის ხასიათს ღებულობს (მენორაგია, აციკლური სისხლდენა). ზოგჯერ მენსტრუაციამდე უჩივიან სისხლიან ჩამონაშალს. მენოპაუზის პერიოდში ქალები აღნიშნავენ სისხლის დენას ან სისხლიან ჩამონაშალს. ადენომატოზის დროს სისხლის დენა ხანგრძლივია და ადვილად არ ჩერდება.

წარმოშობისა და აგებულების მიხედვით არც ერთ ორგანოში არ გვხვდება იმდენი სახის სიმსივნე, როგორიც საკვერცხეებში. საკვერცხეში სულ მცირე 18 კერაა, საიდანაც შეიძლება განვითარდეს ჭეშმარიტი სიმსივნე.

რათა დროულად იქნეს გამოვლინებული და თავიდან აცილებული ზემოთ აღნიშნული გართულებანი, სამეანო-გინეკოლოგიური სამსახური აწარმოებს პროფილაქტიკურ გასინჯვებს წელიწადში ერთჯერ.

გინეკოლოგები მიმაგრებული არიან უბნებზე, სადაც თვეში ერთჯერ ამბულატორიებში აწარმოებენ გასინჯვებს. სოფლებში ბებია ქალები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ქალების გამოცხადება ამ გასინჯვებზე. გასინჯვები ატარებს პროფილაქტიკურ ხასიათს და მიზნად ისახავს სხვადასხვა ფონური და კიბოს წინარე დაავადებების დროულ გამოვლინებას.

დაავადებების გამოვლინებაში გვეხმარება ქალების მიმდინარე გასინჯვები, რომლის დროსაც ივსება შესაბამისი ფორმა და დაავადებული პირები აჰყავთ დისპანსერულ მეთვალყურეობაზე.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოვლინებულ დაავადებულთა დროულ ჰოსპიტალიზაციას და შესაბამისი მკურნალობის ჩატარებას.

განკურნების შემდეგ 6 თვის განმავლობაში იმყოფებიან დისპანსერულ მეთვალყურეობაზე და თუ ამ ხნის განმავლობაში არ იქნა გამოვლინებული რაიმე პათოლოგია, იხსნებიან დისპანსერული მეთვალყურეობიდან.

ჩვენი თხოვნა ქალებისადმი: ნუ აარიდებენ თავს პროფილაქტიკურ გასინჯვებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათ ჩატარებაში. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს გავახანგრძლივოთ მათი სიცოცხლე და შევუნარჩუნოთ მათ შრომისუნარიანობა.

გახსოვდეთ, პროფილაქტიკური გასინჯვების დროული გავლა, თქვენი ჯანმრთელობის საწინდარია.

**მარინა ჯიქია,**
ზუგდიდის რაიონის მთავარი მეან-გინეკოლოგი.

**ბიძინა სიხარულიძე,**
ზონის კურატორი ქალთა სამედიცინო მომსახურების დარგში

რედაქტორი
ა.ა. ჭანტურია.

---

მეუღლე კატუშა, შვილი ქეთო, შვილიშვილი ნანი, ძმა ნოდარი, დები: შურა, ეთერი, სიდედრი ლოლა, სიძეები შოთა დანელია, შუქრი კვარაცხელია, რძლები ნუნუ, ლეილა, ლიანა, ნათელა, ნარი, ციცო, ცოლისდები: ფოთოლა ნელი. მიმოზა. ავრორა, ბებიები, ცოლისძმები კარლო, ჯემალ ღურწკაიები. ალიონ ბებია. დისშვილები: კორნელი, თემურ კვარაცხელიები. ბორისი. ბადრი. ბესიკი ფიფიები, ძმისშვილები თამაზი. აზა. მზია. პაატა. ემა. რიმა შონიები. ქვისლი ტრისტან დავითაია და ჯანიკო აფაქიძე. დეიდაშვილები. მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვაჟა იასონის ძე შონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13 თებერვალს. დაკრძალვა 14 თებერვალს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კიროვის ქუჩა 19, ბინა 10.

---

ხეცერის ჩაის მეურნეობის შრომითი კოლექტივი იუწყება მეურნეობის ყოფილი თანამშრომლის, შრომის ვეტერანის

**მირიანე გრიგორის ძე თოფურიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ცუცა. შვილი ზურაბ პაპასქირი, დები გუგუშა. ბუცა. მერი. ბიძა მიშა მესხია, რძლები: ნონა ბენდელიანი, შურა პაპასქირი, შვილიშვილები თეიმურაზ, ნათია პაპასქირები, სიძეები ქორეი ჭითანავა, ვარლამ ბარქაია, მზახლები: ნათელა საბლუა, შოთა ბენდელიანი, ცოლისდები: ივლიტა. ნუცა კვარაცხელიები, ძმისშვილები სულიკო. ტოტოშა. იგორი. დარეჯანი, ავთანდილ პაპასქირები. დისშვილები. ლეილა. მურმან, ფრიდონი, ნარგიზა. ნესტან სტეფანიები, კუკური გულორდავა, დემური. დოდო. გურიელი. თენგიზი, ლარისა სამუშიები. ზაირა. გონელი ჯალაღონიები, ზაზა პაპასქირი, ჯანიკო. ლუარა. მთვარისა, თემური, კობა ჭითანავები. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ვალერიან (ვალიკო) ტარასის ძე პაპასქირის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 თებერვალს. დაკრძალვა 12 თებერვალს 16 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, მოსაშვილის ქ. 1-ლი შესახვევი 23.

---

ნარაზენის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება

**ვარლამ ზოგის ძე თოდუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე კლარა, დედა იმედო. შვილები: გენადი. გელა. ძმები: ლუთი, ვანიჩქა, დები: გულიშა, ჟუნა, სიდედრი ცოცო თორია. მზახლები: ვანო. ნაზო შეროზიები. ბოჩია. ლეილა ეხვაიები, შვილიშვილები: გიგა. გოგა. სიძეები: რეზო წურწუმია, იურა ქანთარია. გოგი კოზმავა, ცოლისძმა გივი ბესელია, ცოლისდა ადა ბესელია. ძმისშვილები: რობერტი, ჯანიკო. მადონა, ლუდა. ლონდა. კოჩია. ნუნუ, კობა, დისშვილები: ნანა, ქეთინო, დათო, სოფიკო, ლერი. დათო, ნანი, რძლები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**გერონტი მამანტის ძე გაგუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 თებერვალს. დაკრძალვა 12 თებერვალს. გამოსვენება პუშკინის ქ. 85-დან.

---

და ოლგა. რძლები შურა ჭანტურია. ნივა ცოლბაია, ძმისშვილები: ოთარი. ნათელა, ნარგიზა, ლუიზა, თინა გოგოხიები, დისშვილები გული, ნოდარი, ნათელა. ნანული ხასაიები. გენო, მადონა. ნელი. ნინელა. გული შონიები. დეიდაშვილი გივი სარია, ახლო ნათესავები იუწყებიან

**იმენა ქვაქვალას ასულ გოგოხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 თებერვალს. გამოსვენება 12 თებერვალს 4 საათზე სოხუმის ქ. 169, დაკრძალვა სოფ. ფახულანში (წალენჯიხის რაიონი).

---

შვილები: ნუნუ. თენგიზი. რძლები კლავდია, ცისანა ელისაშვილი, ცისანა მორგოშია, სიძეები ჯემალ ოყუჯავა, ქორა გაგუა. შვილიშვილები: თეონა ბჟალავა, მანანა, გელა ოყუჯავები, და შურა ტყებუჩავა, ძმა ლევთერ ბჟალავა. ბიძაშვილები: ვერა, ხუტა ბჟალავები, ძმისშვილები: ნიკოლოზი. ნაზი. დოდო, სვეტლანა, იგორი. გივი. ლერი. ციცო ბჟალავები. დისშვილები: ციალა. პანტე ბჟალავები ოჯახებით იუწყებიან

**იასონ გრიგოლის ძე ბჟალავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 თებერვალს. დაკრძალვა 12 თებერვალს, 4 საათზე, გამოსვენება ძერჟინსკის ქ. 8.

---

მეუღლე ვეჟიკო, შვილები: რეონა, შერმადინი, და თალიკო, ძმა ჯონჯი. რძლები: მაია ძიძიგური. ეთერ დარასელია, ცოლისდები თინიკო. ვარდიშა. ქუჩუჩი ბენდელიანები. სიძე ვანო როგავა. ქვისლები: შალვა ჩაჩიბაია. ბოჩო თოდუა. თამაზ მირცხულავა. ძმისშვილები პავლე. პაპუნა. ნუნუ. ნინო. დისშვილები: ნანი. მანანა. მარინა როგავები. მზახლები ზაირა. ანზორ ძიძიგურები. ბიძაშვილები. დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ძაგული იასონის ძე პაჭკორია.**

პანაშვიდი 14, 15 თებერვალს. დაკრძალვა 16 თებერვალს 5 საათზე სოფელ აბასთუმანში (ხეცერის უბანი).

---

მეუღლე ტატიანა, შვილები ზამრიკო, ბულიკო. ნანიკო. თამაზი, თენგიზი, რძლები: ლია, ნათია. ნუცა. დები: თამარი. ლუბა. შვილიშვილები მალხაზი, პაატა, მაია თოდუები, ნონა, ლალი. მზია სამუშიები, ეკა, მაკა სირბილაძეები. ნანა, მამუკა, თემური ხვიჩიები, ცოლისძმა ვალოდია ლაგვილავა, სიძეები გურამი თოდუა, გურამი სამუშია, ვასო სირბილაძე. დისშვილები: დაფე, ჟუნა სორდიები, ჯემალი, ჯულიეტა დიდიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვარლამ ივანეს ძე ხვიჩიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 თებერვალს. დაკრძალვა 12 თებერვალს. 5 საათზე სოფელ ორულუში.

---

ოთარი, გურამი, დათო და გია პაჭკორიები ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის

**ძაგული იასონის ძე პაჭკორიას**

გარდაცვალებას.

---

ყრუთა საზოგადოების კოლექტივი იუწყება თანამშრომლის

**იასონ გრიგოლის ძე ბჟალავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 76507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

გამომცემლობის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 8000 შეკ. №349